თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. თელავი 2018 წლის 20 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის: ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კახაბერ ძამუკაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის შესახებ.

მომხს. ა.შათირიშვილი.

მოისმინეს: 1. პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კახაბერ ძამუკაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევანი ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ გააჩნია სათანადო საბუთები თავისი პრიორიტეტის თაობაზე პროექტთან დაკავშირებით, ამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრასტრანსპორტო საშუალების განკარგვა მოხდეს პირობებიანი აუქციონის მეშვეობით.

უჩა ჭოტიაშვილმა დააყენა წინადადება, რომ მერიამ გადაცემამდე მოახდინოს ქონების შეფასება და დაზღვევა.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კახაბერ ძამუკაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" საჭიროებს დამატებით შესწავლას და გადადებული იქნას შემდეგი სხდომისათვის.

.

მოისმინეს: 2. პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ: მისაღებია პროექტში გათვალისწინებული პირობა ქ.თელავში არჩილ II - ის ქუჩაზე არსებული ქონების მიმართ, სოფელ იყალთოში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა მოხდეს პირობებით - მყიდველმა უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე არსებული სასმელი წყლის სამარაგე ავზის მოვლა-პატრონობა და სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღისთვის სასმელი წყლის მიწოდება, ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული არასასოფლო დანიშნულების მიწის განკარგვა მოხდეს პირობებით: გასხვისებული მიწა გამოყენებული იქნას არაკომერციული დანიშნულებით და მასზედ მოწყობილი იქნას გამწვანების ზოლი, სოფელ კონდოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა მოხდეს უპირობოთ.

ალექსანდრე შათირიშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობასთან დაკავშირებით, მერიას მიეცეს რეკომენდაცია, რომ განსაზღვროს პირობების შინაარსი და წარადგინოს საკრებულოზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ა. ალექსანდრე შათირიშვილი